№ 281

პარასკევი, 29 დეკემბერი 1895

** გაზეთი ღირს:**

| | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| | 10 | — | 6 | 6 | — |
| | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 281

პარასკევი, 29 დეკემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვი გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

ВЪ ТИФЛИСѢ ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1896 ГОДЪ

НА АРМЯНСКУЮ ЕЖЕДНЕВНУЮ

политико-литературную газету

**НОРЪ-ДАРЪ**

(тринадцатый годъ изданія)

Газета „НОРЪ-ДАРЪ" въ 1896 году будетъ выходить по прежней программѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: съ пересылкою и доставкою по Россійской имперіи: на годъ—10 руб., на полгода—6 руб., на три мѣсяца—3 руб. 50 к.; заграницу на годъ 40 франковъ.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

ПОДПИСКА принимается исключительно въ конторѣ газеты „НОРЪ-ДАРЪ" въ Тифлисѣ, на Пушкинской улицѣ, домъ № 14, противъ сквера.

ОБЪЯВЛЕНІЯ принимаются на всѣхъ языкахъ по умѣренной платѣ въ Тифлисѣ—въ конторѣ газеты, и въ Москвѣ—въ Центральной конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и К°, Мясницкая, д. Спиридонова. Адресъ: Тифлисъ въ редакцію „НОРЪ-ДАРЪ".

Рѣдакторъ-издатель **Спандаръ Спандарьянъ**.

(3—1)

...ლისის დამოქმნა აცხადებს ... მოვაჭრეთა საყურადღებოდ, ...ამ მიმდინარე წელს გაუსყიდ... ჩაი კარტუზებში, რომელსაც ...უმწიფო ბანდეროლი არ აკრავს, ...უოდ უნდა წარუდგინონ დამოქ... 1896 წ. 1-ლ იანვრამდე, რომ ...ანდეროლი გადაეკრას.

(3—6—1)

## ახალი ამბავი

—

*** როგორც შევიტყეთ, ამ მომავალს წელს გიმნაზიებში სწავლა 11 მაისს დასრულდება. მოწაფეები, ...რომ ღირსეულად იქმნება ცნობილი, უეგზამენოდ იქმნებიან გადაყვანილნი, ხოლო დანარჩენნი ეგზამენს დაიჭერენ სექტემბერში. მალე მოელიან თვით ოფიციალურს განკარგულებას.

*** სამშაბათს, 26 ამ თვეს, ტფილისის „კრუჟოკში" გამართული იყო მეორე გიმნაზიის სასარგებლოდ „თეთრი ბალი". „კრუჟოკის" დიდი დარბაზი თითქმის სავსე იყო ხალხით. მანდილოსნები ყველა თეთრი ტანისამოსით იყვნენ და მართლაც რომ მშვენიერი სურათი დაეხატებოდა თვალ-წინ კაცს ამ სანახაობით. როგორც გავიგეთ, შემოსავალი ათას მანეთამდე თურმე არის.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებში შემოსულა თხოვნა კავკასიის წყლის მმართველობაში მონაწილეებისაგან ხონის წყლის მაზრისა, რომელნიც ითხოვენ წყლის ბაჟი ნუ...რ დაგვედებაო, რადგანაც ასეთი ...ეი ძლიერ შემავიწროვებელიაო ...ისათვის და აღემატებაო კიდეც წყლისაგან მოსალოდნელ მცირე სარგებლობას. თხოვნაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ცხენის წყლის ტოტი თვით სოფლების შრომით და საშუალებებით და წყლის მმართველობის დაუხმარებლივ არის გამოყვანილიო, რომ დღემდის ხალხი თვით ზრუნავდა არხი არ გაფუჭდესო, თავისი შრომით აუმჯობესებდა ცხენის წყლის ტოტებსაო და შემდეგშიც ასე იყოსო. რაიცა შეეხება წყლის მოსამსახურეთა ჯამაგირებს, მონაწილეები თხოულობენ ჯამაგირი არ მიეცეს, რადგანაც ეს პირები მასყიდლის პირობით არ ყოფილან არჩეულნი და ჩვენდა დაუკითხველად დაინიშნეს ჯამაგირიო.

*** როგორც დეპეშით ატყობინებენ გაზ. „ტფ. ლისტ."-ს, გორში 24 დეკემბერს, ღამის 10—11 საათზე საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი მამალაძე გაუძარცვავთ. წაუღიათ სავა-და-სხვა ძვირფასი ნივთი 1,118 მან., პირველის სესხის მომგებიანი ბილეთი და ფულად 550 მან. ექვი ერთს მებაღეზე აქვთ. მამალაძე ამ დროს სახლში არა ყოფილა.

*** 25 დეკემბერს ტფილისიდამ გასული მატარებელი, რომლითაც თვით რკინის გზის დეპარტამენტის უმცროსი თავმჯდომარე გორჩაკოვი წავიდა, ხაშურში დილით, 26 დეკემბერს, ჩავიდა.

აქედამ მატარებელი პირ-და-პირ ყვირილას წავიდა. 27 დეკემბრიდამ მთელს გზაზე დაიწყებენ მატარებლები სიარულს. პირ-და-პირი მიმოსვლა სახალხო და საქონლის მატარებლებისა იანვრის პირველს რიცხვებში დაიწყებაო. პირველ ხანად რიცხვი მატარებლებისა მცირე იქმნება. წამხდარ ლიანდაგზე მუშაობა დღე და ღამ შეუწყვეტელია. აჯამეთისა და სვირის ხიდები 30 დეკემბერს მზად იქნება. („ტფ. ლისტ.").

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ზ. ჭიჭინაძეს გაუთავებია უკვე „კალმასობის" ბეჭდვა, ორივე ტომის ერთად და მალეც გამოვა. იგი ამას გარდა შესდგომია „ქართლის ცხოვრების" გამოცემას. ამ ვრცელი შრომის გამოცემაში მონაწილეობას სხვებიც იღებენ. სხვათა შორის, გამომცემელი დახმარებას ავალებს პროფესორს ალ. ცაგარელს, ხახანაშვილს, მარს და სხვებს. ახალი დაბეჭდილი დედანი შედარებული იქმნება რუმიანცოვის წიგნთ საცავში შენახულ ხელთ-ნაწერ „ქართლის ცხოვრების" დედანთან, იმპერატორის სამეცნიერო აკადემიის წიგნთ-საცავის ხელთ-ნაწერთან, პარისის წიგნთ-საცავის ხელთ-ნაწერთან, ვატიკანის წიგნთ საცავის ხელთ-ნაწერთან და ფარსადან გორგიჯანიძისაგან დაწერილს საქართველოს ისტორიასთან. ბევრი რამ ცვლილებანი იქნება და მასთანავე „ქართლის ცხოვრება" შეივსება სხვა-და-სხვა ვარიანტების განსხვავებულის ცნობებისაგან სხოლიოებში.

მთელი „ქართლის ცხოვრება" გამოიცემა ოთხ ტომად.

უკანასკნელს ტომს ზედ დაერთვება ქართველ თავად-აზნაურთა გვართა ჯ შთამაოებათა აღწერა, რომელი აღწერაც ძველად არის დაწერილი და დატოვებული.

---

## ქველმოქმედთა საყურადღებოდ.

—

მესამე წელიწადია აგერ, რაც ავჭალის იაფ-ფასიან სასადილოში ნათლისღების დღეს ღარიბ ბავშვთათვის იმართება „შობის ხე". წარსულ წლებში ბავშვთათვის ამ სასიამოვნო დღესასწაულზე ესწრებოდა ხოლო 100 ბავშვი, რადგანაც საშუალება არ იყო და არც შენობა იტევდა მეტს რიცხვს ყმაწვილებისას. მეტად სამწუხარო სანახავი იყო ბავშვთა დიდი გროვა, რომელიც გარეთ რჩებოდა და მწუხარედ შეჰყურებდა იმ ბედნიერთ, რომელთაც ბედმა არგუნა დღესასწაულზე დასწრება! მეტად ძნელია უარის თქმა ამგვარს შემთხვევაში, მაგრამ „შობის ხის" დღესასწაულის გამგენი იძულებული იყვნენ, ზემოთ აღნიშნულის მიზეზის გამო, უსიამოვნება მიეყენებიათ და უარის თქმით ძლიერ შეეწუხებინათ ბავშვები.

მომავალს, 6 იანვარსაც, ჰსურთ ამგვარივე დღესასწაული გაუმართონ ბავშვებს და განზრახვა აქვთ, რაც შეიძლება მეტი რიცხვი დააკმაყოფილონ ბავშვებისა. მეტად სასიამოვნო და კეთილი განზრახვა არის და იმედია საზოგადოება დაეხმარება გამგეთ, რომ განზრახვა სისრულეში იქმნას მოყვანილი. რადგანაც ბავშვებს ურიგებენ საჩუქრებს, ამიტომ გამგენი სთხოვენ გულშემატკივართ—შეწირვას სხვა და-სხვა საგნებით, მაგალითად თეთრეულით, ტანსაცმელით, ფეხსაცმელით, აგრეთვე ხილეულობით, ტკბილეულობით და სხვა. შემოწირულება მიიღება «აღმზრდელ ქალთა საზოგადოების" კანტორაში, რომელიც იმყოფება გრაფისა და ტროიცკის ქუჩის კუთხეზე სამების ეკკლესიის პირდაპირ; ფულით შეწირულება მიიღება აგრეთვე „ივერიის" რედაქციაში.

მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას აღნიშნულს განზრახვას და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ქველმოქმედნი არ დაიშურებენ ცოტაოდენ წვლილს რათა ამ დღესასწაულის გამართვით გაახარონ ღარიბ ბავშვების გული.

---

## კორესპონდენცია.

—

**სვანეთი**, 8 დეკემბერი. 1893 წელს მთავრობამ მისცა სვანებს ოც-და-ერთი ათასი (21) მანეთი ფული სესხათ. ეს ფული ხალხს უნდა დაებრუნებინა ხაზინისათვის ოთხის წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად. ამ წელს ზაფხულში ხალხში ხმა გავრცელდა, რომ ნახევარი ამ სესხისა უმაღლესის მანიფესტის ძალით მცხოვრებლებს ეპატიებაო. ამის გამგონე ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მთავრობის მოწყალებაზე დაიმედებულმა სვანებმა ეს არ იკმარეს და კოლლექტიურის თხოვნით მიჰმართეს ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორს. სვანები სთხოვდნენ გუბერნატორს, რომ იგი შესულიყო იმათ უკიდურესს მდგომარეობაში, ეშუამდგომლა უმაღლეს მთავრობასთან, რომ სესხის მეორე ნახევარიც ჰპატიებოდათ. წარმოიდგინეთ სვანების მწუხარება, როცა პასუხად მიიღეს, რომ უმაღლესი მანიფესტი სვანების სესხს სრულიად არ ეხება და მათ 21 ათასი მანეთი უნდა შემოიტანონ დანიშნულ ვადამდეო. დაღონდნენ სვანები, მაგრამ ამითი საქმეს რა ეშველებოდა! ამ ჟამად ადგილობრივი პოლიცია დაუყოვნებლივ თხოულობს ხალხისაგან ხვედრს შემოსატანს, მაგრამ რას აიღებს, როცა გროში-კაპეიკი არავის გააჩნია. შესატან ფულის საშოვნელად ხალხი სულ გაიხვეწა იმერეთ-სამეგრელო-აფხაზეთში.

არა ერთხელ თქმულა „ივერიაში", რომ სვანეთის მომრიგებელი მოსამართლე და ექიმი წელიწადში მხოლოდ ორს თვეს იმყოფებიან სვანეთში და ათს თვეს სხვაგან არიანო. თქმულა, რომ ამგვარი სამსახური ზემოხსენებულ პირებისა შეუფერებელი და ხალხისათვის საზიანოა, მაგრამ ყურადღება დღემდის არსაით არის. ამ ზაფხულს გვეწვია ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი ფონრეზონი. იმედი იყო, რომ იგი ადგილობრივ დარწმუნდებოდა, რომ მომრიგებელ-მოსამართლის მუდმივი აქ ყოფნა საჭიროა. სამწუხაროდ-კი, ჩვენ სულ სხვა გავიგონეთ და სახელდობრ ის, რომ ვითომ მსაჯული სვანებისათვის, თავმჯდომარის აზრით, ორ თვესაც კმარაო. ეს ვითომ იმიტომ, რომ სვანებში საჩივრები ცოტა არისო. უნდა შევნიშნოთ, რომ ეგეთი აზრი ჭეშმარიტებას მოკლებულია. სვანეთი არც ძველად იყო ბედნიერი არკადია და არც ეხლა წარმოადგენს მას. მსაჯულს ყოველთვის შემოუვა საკმაოდ საჩივრები,—თუ მაინცა და მაინც ესა ჰსურს,—მაგრამ ეხლა თუ სასურველი რიცხვი საჩივრებისა არ არის, ეს იმიტომ, რომ ხალხს არა ჰყავს ადგილობრივ ის პირი, ვისაც უნდა შესჩივლონ. მოვიყვან ფაქტებს, რომელნიც მოხდნენ შარშან. კალის საზოგადოებაში მკვლელობა მოხდა. ერთი კაცი დაუხვდა მეორეს საჩხუბრად. ჩხუბის დროს დამხვედრი მოკლულ იქმნა. შეიქმნა დავიდარაბა მტრებს შორის; რადგან მსაჯული არსად იყო ახლო, მოკლულის ჭირისუფალმა მიჰმართა სვანების ჩვეულებრივს სამართალს, რომლის ძალითაც მას მიუსაჯეს მკვლელის ოჯახისაგან სამასის მანეთის საზღაური; მიმცემი ღარიბი ოჯახი იყო და ერთიანად დაიღუპა. იფარის საზოგადოებაში მამა-შვილი ხეებს სჭრიდა ტყეში და დაბლა უშვებდა. თუმცა მათ ყოველგვარი სიფრთხილე მიიღეს, რომ დაშვებული ხე არავის მოხვედროდა, მაგრამ მოხდა უბედურება: ხემ იმსხვერპლა ერთი ადამიანი. გამოუდგნენ მოკლულის ჭირისუფალნი და, ვითომ მკვლელს, მთელი კაცის სისხლი გადაახდევინეს სვანურის წესით; ერთი ოჯახიც აქ ამოვარდა. მსაჯული რომ ადგილობრივ ყოფილიყო, ორივე ზემოხსენებული ოჯახი დაღუპვას გადარჩებოდა. ამგვარი შემთხვევები არა ერთი და ორია. ვგონებ დროა ყურადღება მიექციოს ამ გარემოებას; ეს საჭიროა, როგორც ხალხისთვის, ისე მთავრობისთვისაც.

ამ გაზაფხულზედ მესტიის საზოგადოებაში დაანგრიეს ერთი ძველი ეკკლესია წმ. გიორგის სახელზე, რომელიც აშენებული იყო ვიზანტიის გეგმაზე. ეკკლესიის შენობა დაზიანებული იყო და რამოდენიმე წელიწადია რაც იმაში ღვთის-მსახურება აკრძალული იყო. მესტიელებს ნათხოვნი ჰქონდათ ქრისტ. აღმადგენელ საზოგადოებასთან, რომ იგი ფულით დახმარებოდა ეკკლესიის აშენებას. საზოგადოებისაგან ქაღალდი მოუვიდა ადგილობრივ ბლაღოჩინს, რომ იგი აღმოუჩენს შემწეობას მესტიელებს ორი ათას მანეთით. ბლაღოჩინმაც აიღო და ხალხს ეკკლესია დაანგრევინა. ორი ათასი მანეთი-კი დღესაც არსად სჩანს.

ამ წლის ოქტომბერში ოთარ დადიშკელიანმა ამოთხარა საგვარეულო სამარხზედ ერთი საფლავი. ნახა ორი დიდი სპილენძის ქვაბი და შიგ მიცვალებულის—მამა-კაცის გვამი. ჩაცმულობა მიცვალებულისა წმიდა ძველი ქართული ყოფილა. მიცვალებულთან უნახავს ორი ვერცხლის თასი, ერთი მიწის ბოთლი ზეთით და საპირწამლე. მეორე საფლავში უნახავს სპილენძის კუბო. შიგ არაფერი ყოფილა. ეს კუბო უწინ ყოფილა ვისგანღაც გასინჯული. ეჭვს გარეშე, რომ სვანეთის სასაფლაოებში, თუ ვინმემ ხელი მოჰკიდა მათ მოთხრას, ბევრი რამ საინტერესო აღმოჩნდება, მაგრამ ვინ არის კაცი, რომ ხელი მოჰკიდოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სასიამოვნო ამბავი გავიგეთ: სინოდში წარუდგენიათ, რომ სვანეთში ათი სამრევლო სკოლა გაიხსნას; ამათში ერთი ორ კლასიანი უნდა იყოს, საიდამაც გამოვლენ სამრევლო სკოლებისავე მასწავლებლები.

იმ დროს, როდესაც წვიმა-წყლებს დასავლეთის საქართველო კინაღამ წაულეკავს, ჩვენში მყუდროება იყო. ოც-და-ექვს ოქტომბრიდგან დაწყებული დღემდე რვა ჯერ წვიმა მოვიდა; დანარჩენ დროს ხან თოვდა და ხან დარი იყო. საშუალო რიცხვით ამ ჟამად სვანეთში ერთი არშინი თოვლი ძევს.

თავისუფალი სვანი.

—

**ფოთი.** ოთხშაბათს, 20 დეკემბერს ფოთის კლუბის დარბაზში მ. ა. ბალანჩივაძემ გამართა კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქ. ი. ე. ტერ-სტეფანოვისამ, ვ. ა. შუმსკისამ და მომღერალთა გუნდმა, რომელმაც აღასრულა ბალანჩივაძისაგან ჩაწერილი ქართული და სვანური სიმღერები. კონცერტმა თავიდგან ბოლომდის ლამაზად ჩაიარა და საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა, ასე რომ იმათ ტაშის ცემას და ვაშას ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. თვითონ ავტორს, ბალანჩივაძეს, რამდენჯერმე გაამეორებინეს: „ნუ შემიბრალებ“ და „შენ გეტრფი მარად“. საუცხოვოდ შეასრულა მომღერალთა გუნდმა: ნანა (კახური) და სვანური სუფრული სიმღერა (ლილე). აქ საყურადღებო ის არის, რომ მომღერალთა გუნდი, რომელიც შესდგებოდა განსაკუთრებით ფოთელ ახალგაზდებისაგან, გალობდა ექვს სხვა-და-სხვა კილოზედ დაწერილ სიმღერებს, რომლებიც მათ ბ. ბალანჩივაძისაგან ოთხის დღის განმავლობაში ისე ლამაზად შეისწავლეს, რომ სცენაზედ გამოსვლის დროს მაყურებელს ეგონებოდა დიდი ხნის დაარსებული ხორო და გამოცდილი მომღერლები არიანო.

კონცერტის ნახევარი შემოსავალი გადადებული იყო ფოთის ქალების სასწავლებლის სასარგებლოდ, მეოთხედი შემოსავლისა ბ. ბალანჩივაძემ და კონცერტის გამგემ ექიმმა ბ. მიქაბერიძემ აღგვითქვეს სამკითხველოს სასარგებლოდ. ამ უკანასკნელის აზრის განსახორციელებლად რამდენმამე ახალგაზდამ ძლიერ მოინდომა და თავიანთი დახმარებაც აღმოუჩინეს, როგორც მაგალითად, ბილეთების გასაღება თავიანთ ნაცნობებში და სხვა არ დაიშურეს. ერთის სიტყვით, ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ამაოდ, მიტომ რომ ხარჯის დაფარვის შემდეგ კონცერტმა ნაღდი შემოსავალი შემოიტანა 110 მან., რომლის ნახევარიც ქალების სკოლას გარდაეცა, ასე რომ ისე მცირედი დარჩა შემდეგ ფული, რომ მშრომელსაც-კი არ აკმაყოფილებს და სამკითხველოს რაღა უნდა ჰხვდეს, რომ ჟურნალ-გაზეთი გამოიწეროს? აქ ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ვსთქვა ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, რომ თუ-კი გავლენიანმა კაცებმა ქალების სკოლის სასარგებლოთ განიზრახეს არა ერთხელ დახმარება, მაშ მიზეზი რა არის, რომ იმათაც გადაავლონ თავიანთი მოწყალე თვალი, გალატაკებულს სამკითხველოს, ჩაუდგან მომაკვდავი სული და სამუდამო საძირკველი დაუსკვნან? მით უმეტეს, რომ სამკითხველოსა და წიგნთ-საცავს არა ნაკლებ სკოლაზედ სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს აქაურ მკვიდრთ. ნუ დავივიწყებთ, რომ სამკითხველო და წიგნთ-საცავი მეორე სკოლაა, საიდამაც უფრო მომეტებულ გონების გასავითარებელ მასალას უნდა მოველოდეთ და ბევრს სხვა-და-სხვა მავნე თავ-გასართობებს აგვაცდენს თავიდამ.

ი. კოხრეიძე

23 დეკემბერი.

## გზა-ბნელი

—

აწმყოზედ დაფიქრებული
ავყვები გულის ძგერასა;
ხანა ვსასოებ, ხან ვტირი
ჩვენი სამშობლოს წერასა,—
მინდა გავჭვრიტო მყობადი,
თვალი მაწყდება ცქერასა.

მაგრამ რა ვნახო, რა მოსჩანს,
ბედია გაუგებარი;
ბრუნავს და ბრუნავს იმისა
ბორბალი დაუდეგარი.
წინ გადაშლია სამშობლოს
ნამყო, ფასდაუდებარი.

ვნახავ: იელვებს, ბნელ ცასა
დაუსხმის ვარსკვლავებია:
სასიქადულო და სატრფო
ის ჩვენი ქალ-ვაჟებია.
რა საანდერძოდ ჰშვენიან
ის ტურფა, ლამაზებია!

ვდუმვარ... იმედიც მოფრინავს,
ვხედავ ცის კარის გაღხმასა.
ხმა ტკბილი ჰხდება მაშინ-კი
საშავბნელეთო საკრავსა,
და ფრთა შესხმული შევცქერი
ჩვენის მყობადის ვარსკვლავსა.

მაგრამ ტკბილს სიმწარედა სცვლის
ცვალებადობა ჟამისა.
ვის გამოუცლავ სასმელი
სიტკბოებათა ჯამისა?!
ნაღველი უკუნუსაა,
სიამოვნება წამისა!

აგერ ცამ თვალი დახუჭა,
გაჰქრა ძვირფასი ჩრდილები
და მათ მაგივრად აფუვდა,
ვით ქია, მატლი მღილები,
მამულის მოღალატეთა
გონჯი, საელდო გრილები.

ახლა „ცეცხლია“ გარშემო,
მოდის ჩვენ დასაწველადა:
ურიცხვი მხეცი, ნადირი
მზაა ჩვენ შესაჭმელადა;
ალარსად მოსჩანს ბილიკიც
გასაძრომ, გასავლელადა.

მაშინ-კი „შავი ყორანი“
შემომაჯდება მხარზედა,
და დარწმუნებით თავს მიქნევს,
მიყეფს საზარელს ხმაზედა.
ცა ზეით ჰწყდება ვარსკვლავი,
ინთქმის უფსკრულში წამზედა.

ხანჯლისკე ხელი წამივა,
აკანკალდება ტარზედა.
და ვიტყვი: „ძმებო, გავინძრნეთ,
ნუ მივვარდნილვართ ძილადა;
სწავლა და ცოდნა, რაც სხვათა,
ჩვენც გვინდა თავის წილადა
ნურც ყველაფერი წარსულის
გვაჩნია თვალის ჩინადა;
თოფს და ხანჯლებზე ჩხავილი
უნდა ძალიან ფრთხილადა.

თორემ, დავითის არ იყოს, (*)
გვარტყია ცეცხლის გენია:
სპარს-ოსმალეთი, „ურჯულო“,
„წუნკალა“ რამოდენია,—
მათ კუჰი ჩვენკენ მოჰზიდავს,
ლაშები დაუღრენია. (**)

*) დავით გურამიშვილი.

**) ლაშები—პირი.

დრომდე იობის მოთმენით
იმხნევოს ჰიანჭველამა,
და წმინდა „სათემო პირსა“
მხარი მოაბას ყველამა;
თუ ითქმის, მხოლოდ მაშინ, რო
კიდეც იძახოს შველამა,
თორემ ერთია შეგვჭამოს
მგელმა, თუნდ ტურა, მელამა.

მაშ მაგრა, ძმებო, გაიწით,
მივყვეთ უკანა წინათა!
გულზედ ხელების დაკრება
უხდება ქალაჩუნათა
და უბრძოლველად ფარ-ხმალის
ჩამოყრა—მაჯლაჯუნათა.

საასპარეზო დიდი გვაქვს,
წადით, გაიწით წინაო;
ყოვლის შემძლებმა ნდომამა
გალეწოს ქვა და რკინაო;
ეგები დღეის ალაჰმა
ხვალა სთქვას: „ჯვარი წინაო“. * *)

ბაჩანა.

1895 წ,

## ჭოტორელის წიგნი.

ვინ იყო ჭოტორელი, ნამდვილად არა სჩანს. ვიცით მხოლოდ, რომ იგი ყოფილა ქიზიყელი, სოფელ ჭოტორის მცხოვრები. მაინცა და მაინც რად გვინდა ზედმიწევნით ვიცოდეთ ჭოტორელის ვინაობა, როდესაც ვიცით, რომ იგი ყოფილა შთამომავალი ქიზიყელთა, იმ ქიზიყელთა რომელნიც განთქმულნი არიან მეტის-მეტის თავისებურობით. ჭოტორელი ფილოსოფია თუმცა ვერ შეედრება ეზოპისას და სვიფტისას, მაგრამ მაინც ფრიად საგულისხმოა. ჭოტორელი მარტივის იარაღით ებრძვის თანამედროვე ცხოვრების უკუღმართობას და სასაცილოდ იგდებს თანამედროვეთა გულუბრყვილობასა და მათს სიბრძნე-სიცრუვეს. ჭოტორელის წიგნი ძალიან მოკლეა და შეიცავს მხოლოდ რამდენსამე თქმულობას, რომელსაც ხალხი დღესაც ხმარობს კაცის სულელობისა და მიუხვედრელობის გამოსახატავად. აი თვით ეს წიგნიცა და მისი შინაარსიც სწორედ ისრე, როგორათაც დაშთენილა ხალხში.

ჭოტორელმა წიგნი გახსნა:
„მზე რომ ჩავა-ჩასვენდება, იცოდე, დაღამდებაო.
„მამალი რომ დაიყივლებს, იცოდე, გათენდებაო.
„ნაცარში რომ ფეხი წაჰკრა, იცოდე, ამტვერდებაო.
„კოკა რომ გატყდება, იცოდე, წყალი დაიღვრებაო.*)
„წყალში რომ კაცი შევიდეს, იცოდე, დაჰსველდებაო.
«ძმა რომ ძმას ეჩხუბოს, ოჯახი დაიღუპებაო.
«კაცი რომ უქმად იჯდეს, ქვეყანა არ აშენდებაო.
„ჩარჩმა რომ არ იცრუო-იფიცოს, გულზედ გასქდებაო.
„შენი სარჩო რომ შენ დაგრჩეს, ჩარჩი ვერ გამდიდრდებაო.
„ღმერთი რომ არ გაუწყრეს, ქართველი როგორ წახდებაო.

აქ თავდება ჭოტორელის სიბრძნე-სიცრუვეთა კრებული. იქნება კიდევ იყოს ბევრი სხვა თქმულობაცა, მაგრამ ჩვენ ამის მეტი ვერ ვიპოვეთ. კარგი იქნება ჭოტორელის შთამომავლებმა დაწვრილებით აღნუსხონ ხალხში დაშთენილნი თქმულობანი, როგორც ამ ჭოტორელის შესახებ, ისე ყველა ქიზიყელებისა, მაგ. თუ როგორ დაჰკარგეს ქიზიყელებმა პარასკევი, როგორ და რა დროს გააკეთეს პანტის ზარბაზანი რუსების გასაწყვეტად, ვინ და რა კაცი იყო ელიბო და სხ.

მ. გიორგიძე.

***) ჯვარი წინასა,
ადგა მხარესა
ანგელოზები.
შენ, ქრისტე, ღმერთო,
დასწერე ჯვარი
ახალ ყვავილთა და სხვა...
ფშავში საქორწილო სიმღერაა.

*) ვარიანტი: „ქოთანი რომ წაიქცევა, შეჭამანდი დაიღვრებაო.“

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

კვირა არ გავა, რომ ჩვენს საზოგადოებას არ გავახსენოთ გაჭირვებული მდგომარეობა წყალ-დიდობისაგან დაზარალებულ ჩვენის მხარეებისა. მაგრამ მაინც თავს არავინ იდებს. დღეს კიდევ „მეურნის“ მე-31 №-შიაც არის იმის შესახებ წერილი ბ. გრ. გველესიანისა ამ სათაურით: „დაგვიანება სახიფათოა“.

ძნელია, მეტი რომ არ ვსთქვათ, გაჭირვების შეგნება მისთვის, ვინც მხოლოდ მაყურებელია და არა გარდამტანი მისი. ბატონებო, შორიდან ცქერა და ლაპარაკი ადვილია, მაგრამ თვით იმისთანა უბედურებასთან დგომა, მისი ატანა, ისიც იმ სახით და იმ ზომის უბედურებისა, ეს მეტად საზარელი ყოფაა, აუტანელი სურათია არამც თუ ყოვლად გულჩვილ, კაცთ-მოყვარე ადამიანისათვის, არამედ ყოველ არსებისათვის, რომელიც ადამიანის სახეს ატარებს, რაც უნდა გულქვა და სხვისი მწუხარების მნელათ მგრძნობელი იყოს იგი. მართლაც და განა დიდი და თავზარ დამცემი უბედურება არ ეწვია ჩვენს ხალხს, განა ისეთაც ბედ-შავს ჩვენს გლეხ-კაცობას ესლა ხამეტრავათ არ გაუმწარდა სიცოცხლე? ჩვენის მხრით გაზვიადება არ იქნება ვსთქვათ, რომ მსგავსი იმ უბედურებისა, რომელიც დაატყდა ჩვენს ხალხს წყალდიდობისაგან მთელი საუკუნის განმავლობაშიც-კი ორჯერ-სამჯერ ძლივ მოხდება.

ეს ასეა, მაგრამ ამ ძნელ მდგომარეობას ჩვენ თითქო დიდს ყურადღებას არ ვაქცევთ, საჭირო გულმხურვალებას თითქო ვერ ვიჩენთ.

ჩვენი უბედურების ამბავმა, ხალხიდან ყრუთ ამოძახილმა ვრცესამ უცხო ქვეყანასაც-კი მიახწია, ჩვენ კი?.. ჩვენ-კი მაინც-და-და-მაინც თითქო ყურსაც არ ვანძრევთ.

გაჭირვებაში მყოფ ხალხს მალე უნდა მაშველება, თორემ დაგვიანება სახიფათოა. რაც მეტი დრო გავა, მით უფრო გამწვავდება საქმე და მისი მოვლაც უფრო ძნელი შეიქნება.

უმეტესი ყურადღება-კი უნდა მიექცეს სოფელს. ქალაქის მცხოვრებლებს ისე არ უჭირს, როგორც სოფელს; იგი უმწეოა, უნუგეშოთ მიტოვებული, ღარიბ-ღატაკი; მას ხშირათ ხმის ამომღები, მოქმედი კაცი არა ჰყავს; იმისთანა მას არაფერი გააჩნია, რომ ამგვარ შემთხვევებში ხელი მოინაცვლოს, თავი შეინახოს, ძირს დაცემულმა ზურგი გაისწოროს, თუნდ დროებით მაინც; მას, დედაბოძს, მარჩენელს მთელის ქვეყნისას, ეხლა თვით თავისს თავის საზრდოც არა აქვს, ძლივ ჰღაფავს სულს და, რაც უფრო ძნელია, იქვე შემწეობის მიმწოდებელი არავინ არა ჰყავს, რადგან სოფელში ყველანი თითქმის ერთნაირათ გაჭირვებულნი, დაზარალებულნი არიან.

ერთხელ კიდევ ვამბობთ, რომ ჩვენ არ გვჯერა, რომ იმათ, ვისაც შეუძლიათ, თანაგრძნობა არ გამოუცხადონ უბედურებაში ჩავარდნილთ. საჭიროა მხოლოთ თაოსანნი, და იმედია, ეს უკანასკნელნიც მალე გამოჩნდებიან და შეუდგებიან ამ წმინდა საქმეს. მაშ როდის უნდა დავეხმაროთ დავრდომილთ მოყვასთ, თუ არ ეხლა, ამისთანა იშვიათს და საშინელ უბედურობის დროს.

ყველაზედ მეტი ყურადღება ამ საქმეს უნდა მიაქციოს ქუთაისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობათა წინამძღოლმა თ. სვ. წერეთელმა. ჩვენ ძალიან გვიკვირს, რომ აქამდისაც არაფერი დაუწყია დიდად პატივცემულ მარშალს. ტფილისში რამდენმამე პირმა, რომელნიც ყოველთვის დიდის მხნეობით ეკიდებიან ჩვენს საქმეებს, მიჰმართეს ადგილობრივს უმაღლესს მთავრობას, მაგრამ პასუხად უგეს, ოფიციალური შუამდგომლობაა საჭიროო. ოფიციალური შუამდგომლობა-კი ვის შეუძლიან თუ არ ჩვენის თავად-აზნაურების წინამძღოლებს და უფრო-კი იმ მხრისას, რომელიც უფრო დაზარალებულია. კიდევ ერთხელ ვთხოვ თ. წერეთელს მალე მოჰკიდოს საქმეს ხელი, თორემ «დაგვიანება სახიფათოა».

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** „დაილი ნიუზ“-ი, ეხებარა ლორდ როზბერის უკანასკნელს სიტყვას სომეხთა შესახებ, უწონებს ექს-პრემიერს მისს განზრახვას, რომ ეს საგანი პარლამენტში იქმნას აღძრული. „შესაძლებელიაო, ამბობს გაზეთი,—რომ ლიბერალთა პარტიის ზოგიერთმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირონ ამ საგანს. დეე, განაცხადონ, თუ ჰსურთ. სამაგიეროდ როზბერის მხარს დაუჭერენ ათასობით კონსერვატორნი, რომელთაც მიემხრობიან აგრეთვე ეკკლესიისა დ პოლიტიკის საუკეთესო წარმომადგენელნი. გლადსტონი რომ უფრო ახალგაზდა იყოს, მაშინ ის ტრიბუნიდამ გაჰკიცხავდა თვით სულთანს და მოითხოვდა მთავრობისაგან თვისი მოვალეობა აღასრულოს. ამ ჟამად რომ როზბერიმ ჰქმნას იგივე, მაშინ მინისტრნი იძულებულნი იქმნებიან პასუხი მისცენ და ჩვენც ჩვენს აზრს შევადგენდით სოლსბერის პოლიტიკის შესახებაო“.

—

17 დეკემბერს გლადსტონს შეუსრულდა 86 წელიწადი. ამ დღეს ჰავარდენში მოვიდა მრავალი მილოცვის დეპეშა და წერილი, მაგრამ გლადსტონი ჰავარდენში აღარ იყო: წინა დღით ის ევროპაში წავიდ[illegible] „დაილი ნიუზ“ ამბობს, რომ [illegible] წელ[illegible] გლადსტონი პირველად [illegible]ება [illegible] დღესასწაულს პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაშორებული; პარლამენტის წევრად ის იყო არჩეული 1832 წ. და 63 წელს არ გაჰშორებია პოლიტიკურ ასპარეზს.

—

**იტალია.** „დირიტტო“-მ, ამ ერ-

თად-ერთმა დემოკრატულმა ორგანომ, რომელიც იტალიის სატახტო ქალაქში იბეჭდება, თავისი არსებობა მოჰსპო. ამ ჟამად პოზიციას თავ-შესაფარად მხოლოდ Don Chisciotte-ღა დარჩენია, რომელიც, მართალია, ძალიან ცოცხლად და კარგად მიდის, მაგრამ იგი მკითხველებს მხოლოდ თავგასართობადა აქვთ და სრულიადაც არ არის სერიოზული საპოლიტიკო გაზეთი. „დირიტტო“-ს მოსპობით, რომელიც სულსა ჰლევს ,,კრისპიანობის'' გამო, როგორც რომში ამბობენ, იტალიის საზოგადოება ერთს თვალ-საჩინო ორგანოს ჰკარგავს. ,,დირიტტო''-ს ბედი დიდს დალს ასვამს დემოკრატიის ინტერესებს. 1854 წ. ტურინში დაარსებული გაზეთი მემარცხენეთა ორგანოდ ითვლებოდა პიემონტის პარლამენტში. ტურინიდამ გაზეთი ფლორენციაში გადავიდა, ხოლო 1870 წელს რომში იქმნა გადატანილი. მაჟრო მაკკისა და ბარგონის ხელმძღვანელობით გაზეთი გარიბალდის ორგანოდ გახდა და დემოკრატიის შეხედულებათა გამომხატველი იყო მუდამ.

## ბოერები და ინგლისელები.

„ტაიმს“-ში სწერია შემდეგი ტრანსვაალის საქმის შესახებ: სესილ რაუსსა ჰსურს სამხრეთი აფრიკის სახელმწიფოებთა კონფედერაცია შეადგინოს. ტრანსვაალი-კი წინააღმდეგია ამ კონფედერაციაში მონაწილეობის მიღებისა. ბოერები, ტრანსვაალის მცხოვრებნი, მხნედა და თავ-გამოდებულად იცავენ თავისუფლებას და დამოუკიდებულობას. მათ უარი განაცხადეს „სამხრეთ-აფრიკის ტამოჟნის კავშირში მონაწილეობის მიღებაზედ, მათი რკინის გზის მმართველი განცალკევებულად მოქმედობს. აგრეთვე ეკონომიურადაც სრულიად დამოუკიდებელნი არიან. ტრანსვაალი დღითი-დღე იზრდება, დიდდება, იქ მიდიან მრავალი უცხოელი მდიდარი კაპიტალისტები. სულ ცოტა ხანში ტრანსვაალი შეიქმნება ძლიერ სახელმწიფოდ, და წინააღუდგება ყოველივე თავისთვის უსარგებლო სურვილს ინგლისისას. სესილ რაუსმა გარდასწყვიტა წინააღმდგობა გაუწიოს ტრანსვაალის თავ-ხედობას და თავისს წადილს მიაღწიოს რამენაირად. დაიწყო აგიტაცია, ისე ხერხიანად იქცევა, რომ პრეზიდენტს კრიუგერს საქმე გაუჭირდება, თუ მოკავშირე ვერ იშოვა. თუ ტრანსვაალის წინააღმდეგობა დასძლიეს, მაშინ ტრანსვაალის პარლამენტში დეპუტატთა უმეტესობას ინგლისელები შეადგენენ და ამ ნაირად სესილ რაუსის პოლიტიკაც გაიმარჯვებსო.

ამას ხელს უწყობს ისიც რომ ბოერებმა დიდი შეცდომა ჩაიდინეს. როცა მიანდეს ინგლისს ტრანსვაალის რესპუბლიკათა წარმომადგენლობა უცხო სახელმწიფოთ წინაშე.

ეხლა ინგლისი ამ ხელშეკრულობაზე მტკიცედ ადგია და ამბობს, რომ არავის არ მისცემს ნებას ჩაერიოს ბოერებთან მომხდარს უთანხმოებაში. ინგლისის ამგვარს განცხადებას წინააღუდგა გერმანია და საფრანგეთი. გერმანიამ განაცხადა, რომ მისი ინტერესები წინააღმდეგი იქმნება, ტრანსვაალის საქმეების შესახებ გულგრილობა გამოიჩინოს, ამავე აზრს ადგიან პარისის ავტორიტეტის მქონე ორგანოები. „ჟურნალ დე დება“ ამბობს ტრანსვაალის საქმე საფრანგეთის ინტერესებსაც ეხება. გარდა ამისა, რომ იქ არიან ჩვენი თანამემამულენი, რომელთა ინტერესების დაცვა ჩვენი უწმიდესი მოვალეობაა ჩვენს მფლობელობაშია მადაგასკარი და ამიტომ სამხრეთი აფრიკის საქმეებს გულგრილად ვერ ვუყურებთ. ინგლისის გაძლიერება სამხრეთ აფრიკაში იქმნება ჩვენი ძლიერება და პრესტიჟის დამცირება ამ მხარეში.

## თეატრის მატიანე.

ოთხშაბათს, 27 დეკემბერს, დამსახურებულის არტისტის კ. დ. ყიფიანის საბენეფისოდ ხელმეორედ ამ სეზონში წარმოდგენილი იყო ფრ. კოპპეს დრამა „იაკობელები“, ფრანგულიდგან ნათარგმნი ბ. პ. ი. ყიფიანის მიერ. პიესის უმთავრესი როლი—პრინც შარლის როლია, მაგრამ ჩვენს სცენაზედ მოხუცისა და უსინათლო ანგუსის როლს მობენეფისის, ბ. ყიფიანის, შესანიშნავი კარგს თამაშობით პირველი ადგილი ეჭირა.

საზოგადოებას ბ. ყიფიანი ძალიან მოეწონა ანგუსის როლში, მეტადრე პირველს მოქმედებაში, როდესაც თავისის ქადაგებით აღელვებს შოტლანდიელებს და საომრად ამზადებს და მესამე მოქმედებაში. ეს მოქმედება ბ. ყიფიანმა მართლა რომ ხელოვნურად და დიდის გრძნობით გაატარა. ბ. სვიმონიძის თამაშობით პრინცი შარლი ისეთი ბრწყინვალე არ იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო ვერსალიდამ დაბრუნებული მშვენიერი პრინცი, რომელიც ერთის შეხედვით ჰხიბლავს ყოველი დედა-კაცის გულს. ამას გარდა არც როლი იცოდა კარგად და ბევრჯელ ლაპარაკში აზრსაც ვერ მიუხვდებოდით, მაგრამ ყოველივე ესე მიეტევება ბ. სვიმონიძეს, რადგან შარლ-ის როლი ითამაშა, როგორც გამოცხადებული იყო, ბ. მესხის ავადმყოფობის გამო, მოუმზადებლად. თავგანწირულს და სიყვარულით სავსე მარიამის როლს თამაშობდა ქ. ავალიშვილისა და ეს როლი, ამ სეზონში, მის უკეთეს როლად უნდა ჩაითვალოს. ფინგალის როლი თითქოს ზედ გამოჭრილიაო ვ. გუნიას გარეგან სასცენო თვისებებზედ, მაგრამ ბ. გუნიამ ეს პატიოსანი ლორდის როლი საკმაოდ ცოცხლად ვერ დაგვიხატა. ფინგალის ცოლის როლს თამაშობდა ქ. მელიქიშვილისა. მისი მონაწილეობა გამოცხადებული იყო დიდრონ აფიშებშიაც, პატარა პროგრამმებშიაც და სცენიდგანაც გამოგვიცხადეს, მაგრამ ამდენმა რეკლამამ ვერ უშველა—ლედი დორას როლში იგი უფერული იყო, მკრთალი, მაყურებლისათვის მართლა გასაკვირველი, პარისიდან დაბრუნებული ბრწყინვალე პრინცი სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში გაბმული, დროს როგორა ჰკარგავს ასეთის ქალისათვის, როგორიც გუშინ წარმოგვიდგინა ქ. მელიქიშვილისამ. გარდა ამისა არტისტს იმისათვისაც-კი არ უზრუნვია, როლი იმდენად მაინც შეესწავლა, რომ თავისვე სახელი არ დაჰვიწყებოდა. ესევე უნდა ითქვას ბ. ცაგარელზედ, რომელსაც მეორე მოქმედებაში სულ ხუთი სიტყვა ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ესეც არ დაესწავლა რიგიანად და სულ ენა ებმოდა. საზოგადოდ, ანსამბლი არ იყო; სტატისტები, შოტლანდელები და პრინცის ამალა სულ არ იყვნენ მომზადებულები, არ იცოდნენ რა ექნათ, როდის ამოეღოთ ხმა, როდის დაჩუმებულიყვნენ, როდის გასულიყვნენ და როდის შემოსულიყვნენ და როგორ; ქ. ჩერქეზიშვილმა არ იცოდა ოთახი საით ჰქონდა და სად შესულიყო, რომ პრინცისათვის მოემზადებინა. ამგვარი არეულობა ჩვენს სცენაზედ თითქოს სენად გარდაიქცა და კარგი, იქნებოდა, რომ რეჟისორს ამ გარემოებაზე ყურადღება მიექცია.

არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ ადმინისტრაციის ყურადღება იმას: ვოდევილისათვის პიანინო მუშებმა ანტრაქტის დროს გამოიტანეს სცენიდამ. ეს უწესოებაა, ამაზედ თავის დროზედ უნდა ეზრუნათ. წარმოდგენის დასასრულ წარმოდგენილი იყო ვოდევილი ,,ბნელ ოთახში''. სონიჩკას როლს თამაშობდა ქ. საფაროვისა. არ ვიცით რისთვის დასჭირდათ არხივიდგან ამ ვოდევილის ამოთრევა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, თეატრი თითქმის სავსე იყო. ბ. ყიფიანი დრამის გათავების შემდეგ მრავალჯერ იყო გამოწვეული და რამდენიმე ნივთი მიართვეს საჩუქრად.

ს—ი.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ავსტრ-უნგრეთში ქალებს ნება აქვთ უნივერსიტეტში სასწავლებლად შესვლისა, ვითარცა სტუდენტებს. ხოლო ავსტრიაში ეგ ნება შეზღუდულია მით, რომ მარტო სამკურნალო ფაკულტეტია ქალთათვის კარღია, სხვა ფაკულტეტები მათთვის კარ-დაკეტილია. უნგრეთში-კი, საცა სამინისტრო ყოველთვის იმითია ცნობილი, რომ ერის საერთო სურვილს ყურს ადევნებს ხოლმე, ქალთა ნება აქვთ არამც თუ მარტო სამკურნალო ფაკულტეტზე შევიდნენ უნივერსიტეტში, არამედ საფილოსოფიო ფაკულტეტზედაც, რომელსაც ეკუთვნიან საისტორიო-ფილოლოგიური და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური. უმაღლესის სწავლის კარის გაღება ქალთათვის ახალი ამბავი არ არის ევროპაში და ამ შემთხვევაში ღირს შესანიშნავია მხოლოდ იგი აზრები, რომელიც ქალთა უმაღლესს განათლებას წარუმძღვარა უნგრეთის საერო განათლების მინისტრმა ვლასაჩმა. ოფფიციალურ უნგრეთის გაზეთში დაბეჭდილია ცირკულიარი ხსენებულის მინისტრისა უნივერსიტეტის გამგებელთა მიმართ ბუდა-პეშტში და კლაუზენბურგში და ამ ცირკულიარში მოხსენებულია იგი საბუთები, რომელზედაც დაუმყარებია მინისტრს თავისი აზრი შესახებ ქალთა უმაღლესის სწავლის საჭიროებისა. დედა-აზრი ამ საბუთებისა იგია, რომ ქალთათვის უნივერსიტეტის, ანუ, უკეთ ვთქვათ, უმაღლესის სწავლის კარის გაღებას ბევრი კეთილი მოჰყვება როგორც საზნეო, ისეც სასოციალოო. მინისტრი ამბობს, რომ მრავალ გვარი ცვლილება საზოგადოებურ ცხოვრებისა და ის გარემოება, რომ დღე და დღე მატულობს სიძნელე კაცმა თავი ირჩინოს და სახსარი ცხოვრებისა იშოვოს, იძულებულ ჰხდის ბევრს გონება-გახსნილს ქალს მოსვენებული ცხოვრება ოჯახში გასცვალოს შრომით სავსე, მძიმე ცხოვრებაზე. მატულობს და ვრცელდება ქალთა განათლება და ქალნი ამის ძალით იმისთანა საქმეებს ჰკიდებენ ხელს, რომელნიც წინად მარტო მამაკაცთა საქმედ ითვლებოდაო. ყველასათვის ცხადია, რომ ამ გზაზე ქალთა მხნეობამ თავი იჩინა და სახელი მოიპოვაო. მასთან ერთად, რომ მატულობდა რიცხვი განათლებულთა ქალთა, რომელნიც იძულებულ იყვნენ თავისის შრომით ერჩინათ თავი, უფრო და უფრო ვრცელდებოდა ის საბუთიანი აზრი, რომ გონებიანი ნაწილი დედა-კაცობისა ვერ იკმარებდა იმისთანა საქმეს, რომელსაც უძღვება მცირე სწავლა-ცოდნაო. ამ მიზეზს უნდა მიეწეროს იგი ბეჯითი და აწ გაძლიერებული მეცადინეობა დედა-კაცთა, რომ სახელმწიფომ მისცეს უფლება ეგრედ წოდებულ სწავლულ პროფესიებშიაც ადგილი იქონიონო. ამ მეცადინეობას რომ წინ გადეღობოს კაცი, იმისთანა უსამართლობა იქნება, რომელიც არ შეჰშვენის მსვლელობას ეხლანდელის ცივილიზაციისასო.

„ჩვენი თაობაო, ამბობს მინისტრი, მოწამეა იმისი, რომ დედა-კაცთა შრომამ კარგა ვრცელი ადგილი დაიჭირა. რკინის გზებზე, სატელეგრაფოებში, ბანკირების კანტორებში და სხვა მრავალ დაწესებულებაში ჩვენ ათასობით ვხედავთ საშუალო და უმაღლეს წოდების დედა-კაცთა, რომელთაც უფრო და უფრო გაძლიერებული ბრძოლა არსებობისათვის იძულებულ ჰხდის შრომით მოიპოვონ სარჩო. ვერავინ იტყვის, რომ იგინი კარგად არ ასრულებდნენ თავიანთს თანამდებობას, პირიქით, როგორც კერძო დაწესებულებანი, ისეც სახელმწიფონი ქებით იხსენიებენ მათს მხნეობას, ბეჯითობას, ცოდნას და კეთილსინიდისიანობასაო. ცოდნა თვითვეულს ცალკე ადამიანს სახსარს, საშუალებას აძლევს სხვასაც არგოს და თვითონაც პატიოსნურად მოიპოვოს ლუკმა პური. რაკი მაღალ წოდების დედა-კაცსაც ისე გაუხდა საქმე, რომ შრომით უნდა მოიპოვოს სახსარი ცხოვრებისა, მაშ, რასაკვირველია, რომ იგი ეტანება უმაღლესს სწავლასა, რომელიც,—იმის გარდა, რომ თავისი საკუთარი იდეალური მნიშვნელობა აქვს,—გზასაც უხსნის პროფესიალურ საქმიანობისათვის. ნიჭი-კი აქვთ დედა-კაცებს უმაღლეს განათლებისათვის? დიაღაც, მე ამაში არავითარი ეჭვი არა მაქვს, ამბობს მინისტრი. თუ ამოდენა დედა-კაცებმა სახელი მოიხვეჭეს ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, მაშინ, როდესაც დედათა განათლებას ასე აბრკოლებდა მეტისმეტად ხელ-შემშლელნი გარემოებანი, მაშ ნება გვაქვს ვიფიქროთ, რომ დედა-კაცთა და მამა-კაცთა გათანასწორებით მეცნიერება უფრო მოიგებს. არა ნაკლებ მოგებაში იქნება თვით საოჯახო ცხოვრებაცა, რომლის სახელითაც ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ გასათხოვარის ქალის წყურვილს უმაღლესის განათლებისას. ცოდნა აძლიერებს გონების მოქმედებას, აძლევს ღონე [illegible] აწონ-დაწონვისას; ყოველივე ეს აკლია ბევრს ქალს, რადგანაც საკმარისი განათლება არ მიუღია და ეგ ნაკლია მიზეზი, რომ ოჯახში ხშირად შფოთი და ჩხუბი ასტყდებაო. რა თქმა უნდა, განათლებული დედა-კაცი უფრო კარგი გამზდელი იქნება შვილებისა, ვიდრე ნაკლებ განათლებული. გარდა მაგისა, როცა ცოლი ქმარს აჩვენებს თავისს თავს მეგობრად და ამხანაგად მით, რომ მასთან ერთად გაირჯება ოჯახის საკეთილდღეოდ და თუ ქმრის ნაშრომ-ნაამაგარი არა კმარა და საჭიროება მოითხოვს, თვითონაც საქმეს რასმე ხელს მოჰკიდებს სახსარის საშოვარად, მაშინ მოისპობა იგი სათაკილო მაგალითები ბევრის ეხლანდელის ქორწინებისა, რომელიც წარმოსდგება ხოლმე ქალის მოწონებით და სიყვარულით კი არა, არამედ იმითი, რომ ქალს ამდენი და ამდენი ქონება და სიმდიდრე აქვს. ეს მაგალითები, ერთნაირად სათაკილოა როგორც დედა-კაცისათვის, ისეც იმ საზოგადოებისათვის, საცა მოხდება ხოლმე. მე ბედნიერი ვარ, ამბობს დასასრულ მინისტრი ამ შესანიშნავ ცირკულიარში, რომ დედა-კაცთა უმაღლესის სწავლის საქმე უნივერსიტეტმა აღძრა და მით მოგვცა შემთხვევა ბოლო მოეღოს ერთს იმისთანა საზოგადოებურ მოვლენასა, რომელიც თავისს შინაგან უსამართლობით ვერაფერს სამსახურს უწევს დიდებას ჩვენის ცივილიზაციისასაო“. (რ. ვ.)

## წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელმაც ოდესსის ქართველ-სტუდენტთა წიგნთ-საცავს შემდეგი წიგნები შემოსწირა:

1, საქართველოს ისტორია, მ. ჯანაშვილისა. 2, მისე ხონელი და მისი ამირან დარეჯანიანი—მისივე 3, მწერლობა მე IX—X საუკუნისა—მისივე 4, საქართველოს გეოგრაფია, I წიგნი: სამცხე—ვახუშტი ბატონიშვილისა, 5, საქართველოს გეოგრაფია, II წიგნი: ქართლი—მისივე. 6, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა—ე. თაყაიშვილისა 7, სვიმონ მეფე—დავ. კარიჭაშვილისა 8, როსტომ მეფე—მისივე 9, მეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა—ნ. ურბნელისა.

10, გუჯრები (საისტორიო მასალა) ა. ხახანაშვილისა.

11, ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის—მისივე 12, თხზულებანი თ. რ. დ. ერისთავისა ნაწილი II 13, საქართველოს შესახებ ევროპიელთ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები.

14, Сигель грузинскаго царя Баграта IV Е. Такайшвили.

15, Грузинскіе дворянскіе акты и родословныя росписи. А. Е. Хаханова.

16, Спошенія Россіи съ Кавказомъ С. Бѣлокурова.

17, Матеріалы для русской исторіи, его-же.

18, Матеріалы для новой исторіи Кавказа. ч. 1, II и III—П. Буткова.

წიგნთ-საცავის გამგე ს. კვიტაშვილი.

ოდესსა, 18 დეკემბერს 1895 წ.

—

ნება მიბოძეთ, გულითადი მადლობა გამოვუცხადო შემდეგ პირთ, რომელთაც შემოსწირეს სურამის უფასო სამკითხველოს: ალექსი ნიკოლოზის ძე დეკანოზიშვილმა დაახლოებით 12 მანეთის ქართულ-რუსული წიგნები, ყველა დაკაზმული და გამოსადეგი, დავით მუსხელიშვილმა—1893 წლის ჟურნალი „русская мысль“, 12 ნომერი, პეტრე იოსების ძე ყიფიანმა ქართული და რუსული წიგნები და აღუთქვა სამკითხველოს შემდეგშიაც მზრუნველობა, ლუარსაბ დიმიტრის ძე მურვანიშვილს, რომელმაც უსასყიდლოდ დაჰკაზმა 50 წიგნი და რომელიც ძლიერ დიდ დახმარებას მიჩენს საქმის წარმოებაში და მკითხველთა წიგნების დაცვაში, რომელთა რიცხვი თან-და-თან მატულობს, რა დაინახეს—სამკითხველო საიმედო ნიადაგზედ დგას და მრავალ პირთაგან თუ დაწესებულებათაგან თანაგრძნობა, შემწეობა მოუდის. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსნი არიან ნინო ბესარიონის-ძე მახარაძისა და ალ. მიხეილის-ძე ცომაკურიძე, რომელთაც, თუმცა არა სჭირდებათ პირადათ სამკითხველო (პირველი იღებს გაზეთებს, მეორე სხვა სოფელში სცხოვრობს) წევრებათ ჩაიწერნენ და ხუთ-ხუთი მანეთი უკვე შემოიტანეს, და ვლადიმირ ნიკოლოზის ძე არდიშვილი, რომელმაც აღუთქვა 6 მანეთი.

გარდა ამისა, ბატონო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ, რადგან სწორე ადრესი არ ვიცი, საშუალება მომცეთ, გახარო ბ. ბ. მიხეილ მუხაიძეს და მიხეილ მურვანიშვილს, რომელთაც იმდენი შრომა გასწიეს სამკითხველოს დაარსების დროს, და შემდეგაც მუდამ თვალ-ყურს ადევნებენ და შემწეობას არ აკლებენ, რომ ამიერიდამ, თუ ასე წავიდა საქმე, როგორც ამ ბოლოს ჟამს, სამკითხველოს მომავალი უზრუნველყოფილია: აღარ დარჩა სურამში შეძლებული და შეგნებული კაცი, რომელიც თავის ნებით წევრად არ ჩაეწერა. წავიდა, გაჰქრა ის ძველი დრო, როცა ზო-

...იერთნი უნდობის თვალით უყურებდნენ სამეფო ითხვულის და ჭვიქრობდნენ დამსასჯელნი ბოლოს ვერ მოაბამენო. -

გამგე უფასო სამკითხველოსი ი. მესხი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა გამოჩენილი არტისტი და მოთხრობების მწერალი ივანე თეოდორეს გორბუნოვი.

**ბერლინი.** 25 დეკემბერს იმპერატორმა ინახულა აქ ჩამოსული სახელმწიფო მდივანი სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკისა.

**ბერნი.** სახელმწიფო საბჭომ წინადადება წარუდგინა გამგეობას ნევშატელში, რომ მოჰხსენდეს ვითომდა აბისინიის პრინცის მოტაცება.

**ლონდონი.** ჩემბერლენის დეპეშის შესახებ, რომელიც მან კრიუგერს წარუგზავნა და რომლითაც ამბობდა, რომ 1884 წლის ლონდონის კონვენცია არაფრით იქმნება დარღვეულიო, „ტაიმსი» ამბობს: „ინგლისის მთავრობას ბრიტანიის ერი ერთ სულად და ერთგულად დაუჭერს მხარს და საჭიროების დროს მზად იქნება დაიცვას თავისი სამართლიანი მოთხოვნილებანი და უარყოს სხვათა უადგილო მოთხოვნილებანი, განურჩევლად იმისა, ვისგანაც უნდა იყოს წარმოდგენილი. ჩვენ არაფრით არ შევცვლით იმას, თუ როგორ ვხსნიდით ხელ-შეკრულობას, უარს არ ვიტყვით ჩვენს ისტორიულ უფლებებზედ და ერთს წამსაც არ შევყოყმანდებით, თუ რომ საჭიროება მოითხოვს და ისეთს მსხვერპლს შევწირავთ ამ საქმეს, როგორ უფლებებზედაც იგია დამყარებული. გერმანიის ჟურნალ-გაზეთობა გვირჩევს ქვეყნიერობის საქმე მშვიდობიანის დამოკიდებულებით იქონიას განმტკიცებული იმათთან, ვისაც უფრო მეტი ზარალის მოტანა შეუძლიან, თუნდაც ეს მშვიდობიანობა ჩვენს პატივისცემად გვილირდეს. თუ რომ ჩვენ ეს რჩევა დაგვჭირდება, მაშინ ჩვენ მას ისეთს ადგილას მოვძებნით, რომელსაც უფრო მეტი ნდობა და პატივისცემა აქვს დამსახურებული; მაინც თუ რომ ამ ჟამად საჭირო იქნებოდა მივმართნა ასეთის რჩევისათვის, დაუახლოვდებოდით არა გერმანიას, არამედ ისეთ სახელმწიფოებს, რომელთაც გერმანია პატივისცემით უყურებს*.

როგორც ხმა ისმის, ინგლისის პარლამენტი ამ ახლო ხანში იქმნება მოწვეული.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ როდსმა თხოვნა შეიტანა კაპის ახალშენის პირველ მინისტრის თანამდებობიდამ დათხოვნილ იქმნასო. გენერალ-გუბერნატორმა თხოვნა მიიღო. ხმა დადის, როდსის მაგიერად ბაზინის მინისტრი სპრიგემმი იქნება დანიშნულიო.

27 დეკემბერი.

**პარიზი.** ნიცციდამ იტყობინებიან: მინისტრი დუმე წავიდა, რათა მემკვიდრე ცესარევიჩს წარუდგეს. მისი უმაღლესობა ამ ჟამად სასეირნოდ იყო გასული. სტუმრები ბარონმა შტაკელბერგმა მიიღო, რომელმაც მისის უმაღლესობის სახელით განუცხადა, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი აღტაცებულია თავისის საფრანგეთში ყოფნით. მისი უმაღლესობა, რომელიც ამ ჟამად უკეთ ჰგრძნობს თავს, მუდამ დღე ფეხით დასეირნობს ნაშუადღევს მონაკოს ბაღებამდე, რომელიც 8 კილომეტრის მანძილზეა დაშორებული. დუმე სენ ჟან-ბოლიეში წავიდა, რათა დიდს მთავარს პეტრე ნიკოლოზის ძესა და მისს მეუღლეს წარუდგეს.*

**პარიზი.** ბირჟაზე ყველა როგორღაც გამოცოცხლებულია, რადგანაც იოჰანნესბურგიდამ დამამშვიდებელი დეპეშები მოდის. იმედი აქვთ ინგლის-გერმანელთა შეტაკება აღარ მოხდება.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს აუწყებენ კაპშტადტიდამ, რომ, როგორც ხმა დადის, ლოიდსს დავალებული აქვს 5,000 გერმანელი იქმნას გადასახლებული ტრანსვაალში სამხედრო პირთაგანაო.

კრიუგერმა სანოვაგის შემოტანა აღკრძალა იოჰანნესბურგში. რეფორმათა ნაციონალური კომიტეტი მთლად შეიპყრეს. ტრანსვაალს წასვლა მხოლოდ კრიუგერის ნებართვით შეიძლება.

**ლონდონი.** კაპის ახალშენის გენერალ-გუბერნატორი იუწყება, მოხელეთ მოითხოვეს დედოფლის სახელით, რომ ბულუვაიეში შეკრებილი სამხედრო სურსათი ამისათვის გაგზავნილს ოფიცერს გადასცენო. ქალაქის მოხელეებს მიწერილობა გაეგზავნათ გააფრთხილონ მცხოვრებნი—წესიერება და მშვიდობიანობა დაიცვან. ყველა ეს ბრძანებები სასწრაფოდ უნდა იქმნან ასრულებულნი.

იმის შესახებ, რომ ამბობენ ლოიდსს განზრახვა აქვს გერმანელები დაასახლოს ტრანსვაალშიო, „ტაიმს“-ი ამბობს: „ამ პროექტის მნიშვნელობა ყველასათვის გასაგები იქნება, თუ ამასთან ერთად სახეში ვიქონიებთ გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის მისალოცს დეპეშას.“ იოჰანნესბურგში სურსათის შეტანის აღკრძალვას მეტად ჰკიცხავს „ტაიმს“-ი, რადგანაც ეს საშუალება კრიუგერის მოქმედებათა ორაზროვნებას ამტკიცებს. „ინგლისს გულწრფელად ჰსურს ტრანსვაალთან მეგობრული დამოკიდებულება იქონიოს, მაგრამ თუ კრიუგერი ინტრიგებს ჰხმარობს, მას უნდა გავაგებინოთ, რომ ინგლისი ნებას არ მისცემს მის მიერ აღნიშნულს აზრს წინააღმდეგობა გაუწიოსო“.

**ბერლინი.** ის ამბავი, ვითომ ლოიდსს დავალებული ჰქონდეს გერმანელები გადაასახლოს,—სრული სიცრუვე არის.

**ბერლინი.** იმის შესახებ, როგორი მდგომარეობაც ამ ჟამად ინგლისის გაზეთებმა მიიღეს პრეზიდენტის კრიუგერის მიმართ იმპერატორისაგან დეპეშის წარგზავნის შემდეგ, «კელნის გაზეთი» ამბობს: «ინგლისის გაზეთებს უნდა უთუოდ ეფიქრათ, რომ, რადგანაც იმპერატორის მილოცვა ინგლისის წინააღმდეგ არის მიმართული, იგინი ეჭვობენ, რამდენად გულწრფელია ბრიტანიის მთავრობის ახსნა, რომელმიც სრულიად უარ-ჰყო ჯემსონის მოქმედებანი. ამითი ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა გერმანელებს-კი არა, ინგლისს შეურაცხჰყოფს. თუ რომ ინგლისი ვერ წარმოიდგენდა, რომ ჯემსონი თავს დაესხმოდა, ამას ვერც სხვა სახელმწიფონი წარმოიდგენდნენ. თუ რომ ინგლისის ჟურნალ-გაზეთები ამბობენ, რომ ინგლისს რაიმე უფლება აქვს ტრანსვაალზე, ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ისინი სრულიად არ იცნობენ 1884 წლის ლონდონის ხელშეკრულობის დადგენილებათ. აღარც გერმანია დაუტოვებს რაიმე ადგილს უფლებასა ҩ ხელშეკრულებებს, როდესაც იგი თანაგრძნობას უცხადებს. ინგლისის ჟურნალ-გაზეთების მიერ წარმოთქმული შეურაცხმყოფელი აზრები გერმანიას ვერ შეეხებიანო».

**თეირანი.** რუსეთის სატრანსპორტო კომპანიას, რომელსაც ამ ჟამად რეშტ-კაზვინში გზა გაჰყავს, კონცესია წარუდგინეს, რათა საეტლო გზა გაიყვანოს კაზვინიდამ ხამაკანამდე და საგზაო ბაჟიც აიღოს. ამ კომპანიამვე მიიღო თავისს გამგებლობის ქვეშ კაზვინ-თეირანის გზა.

**ნიუ-იორკი.** როგორც ვატაბანოდამ იუწყებიან გაზეთები, აჯანყებულთ კუბაზე ქალაქი მორრო აუღიათ. ქალაქს ჰავანას ზარბაზნების სროლა დაუწყეს. კამპესი ამ ჟამად ვატაბანოს მახლობლად იმყოფება.

**პეტერბურგი.** 26 დეკემბერს ჭადრაკის თამაშობაში ჩიგორინმა სტეინიცს მოუგო.

—

## საღამოს დეპეშა

28 დეკემბერი.

**ვლადივოსტოკი.** იოკაჰამადამ იუწყებიან, იაპონიის მთავრობამ წინადადება წარუდგინა რუსეთს, რომ მისს სამხედრო ხომალდებს სრული თავისუფლება ეძლევათ, რომელს ნავთ-სადგურშიაც ჰსურთ, იქ დადგნენ და არც განსაზღვრული იყოს რიცხვი ხომალდებისა. როგორც სჩანს, ეს წინადადება იმ აზრით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამით რუსეთს უარი ათქმევინონ კორეს ნახევარკუნძულზე ნავთ-სადგურის შეძენის განზრახვაზე.

**პარიზი.** პრეტორიაში მყოფი საფრანგეთის კონსული იუწყება, რომ იოჰანნესბურგის ის მცხოვრებნი, რომელთაც ჯემსონის რაზმის მოძრაობისა გამო იარაღი აიღეს ხელში, 7 იანვარს სრულიად დაჰმორჩილდნენო.

**ბერლინი.** იმპერატორმა მიიღო საიმპერიო კანცლერი და სახელშეკრულებო დეპარტამენტის დირექტორი, რომელთაც მოხსენება წარუდგინეს.

**ლონდონი.** ჯემსონს უთქვამს «ცენტრალ ნიუს»-ის კორესპონდენტისათვის, იმიტომ გავილაშქრე, რომ მიწვევდნენ მივშველებოდი ინგლისელთა ცოლებსა და ბავშვებს, რომლებიც, როგორც მარწმუნებდნენ, დიდს გაჭირვებაში იყვნენო. ჯემსონის რაზმში მყოფნი თავგანწირულად იბრძოდნენ.

ინგლისში ჯემსონის მიმართ თანაგრძნობა და გერმანელთა მტრული დამოკიდებულება დღითი-დღე მატულობს. სიტში ყველა გერმანელს ნოქრებს ითხოვენ. თავს იჩენს აგრეთვე ძლიერი წინააღმდეგი მოძრაობა. სპეციალურად ამ საგნისათვის გამართულს ნადიმებზე პარნელისტნი ბოერების სასარგებლოდ ამბობენ სიტყვებს.

პრეზიდენტი კრიუგერი ნახევარ მილლიონ კონტრიბუციას თხოულობს.

**ლონდონი.** ბრძანება გამოვიდა დაუყოვნებლივ შესდგეს ექვსის ხომალდისაგან სწრაფი ესკადრა, რომელმაც ან მომქმედი ფლოტი უნდა გაიძლიეროს, ან და სულ კერძო ესკადრას უნდა შეადგენდეს.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ინგლისის ესკადრა კაპშტადტიდამ დელაგოას ყურეში წასულა. «დაილი ტელეგრაფ»-ი იუწყება, რომ მთავრობამ გარდასწყვიტა რაც შეიძლება მალე გაგზავნოს კაპშტადტს ქვეითა და ცხენოსანი ჯარები. ერთს რაზმს, რიცხვით 1,000 კაცს, რომელიც ინდოეთიდამ ინგლისს მიდიოდა, ბრძანება მიეცა კაპშტადტში დარჩეს.

**ლონდონი.** კაპის გენერალ-გუბერნატორმა მოახსენა, რომ ტრანსვაალში მყოფმა ინგლისის აგენტმა წინადადება წარუდგინა კრიუგერს, რათა ტრანსვაალის მთავრობა და რეფორმათა კომიტეტი ეცადნენ იოჰანნესბურგში ნორმალური წესიერება იქმნას აღდგენილი, რაიცა სრულიად ადვილად შეიძლება რამდენიმე დღის განმავლობაში იქმნას შესრულებულიო.

რეფორმათა კომიტეტისაგან იოჰანნესბურგში ამბავი მიიღო რობინსონმა, რომ კომიტეტმა გარდასწყვიტა ტრანსვაალის მთავრობის თხოვნა იარაღის დაყრის შესახებ აღასრულოსო. იოჰანნესბურგის მცხოვრებნი მთლად თავისს ბედს რობინსონს ანდობენ და იმედი აქვთ, ისიც დაიცვს მათს ინტერესებს.

**ლონდონი.** იმის შესახებ, ვითომ გერმანელი ზღვაოსანნი ლორენცო-მარკეცში აპირებდნენ გადასხდომას იმ აზრით, რომ ტრანსვაალს შეუერთდნენ, «ტაიმსი» ამბობს: „ასეთს მოქმედებას უფრო მეტი ხასიათი ექმნება ზღვის მეკობრეთა საქციელისა, ვიდრე ჯემსონის თავდასხმას, რადგანაც მას კანონიერი მთავრობა ჩაიდენდაო“. „ტაიმს“-ი იმას არ ამბობს, რომ პორტუგალიას რაიმე მონაწილეობა მიეღოს ამ გეგმის შედგენაში, მაგრამ ის-კი ჰგონია, რომ პორტუგალიისათვის წინადადება მიეცეთ ასეთის კანონიერ საქციელისათვის, რომელიც მის მეგობარ სახელწიფო ინგლისის წინააღმდეგ არის მიმართული. შესაწყნარებელი მიზეზი აქვთ ეჭვი იქონიონ, რომ უკვე რამდენიმე ხანია გერმანია ზადებოდა ფარულად როგორმე ესვა დალი ინგლისისათვის და ამისათვის წინადვე ჰქონდა ტრანსვაალი ამორჩეულიო. ამითი აიხსნება ის ჯიუტობა და წინააღმდეგობა, რომელსაც ბოერები იჩენენ, როდესაც უცხოელთა სულ უბრალო მოთხოვნილებათაც-კი არ აკმაყოფილებენო. ლონდონის სიტის ორგანო თავისს წერილს შემდეგის სიტყვებით ათავებს: „ბრიტანიის შეცდომილებათ ქვეყანა ჯერ კიცევ არა ჰსცნობს გამამართლებელ საბუთებად გერმანიის იმპერატორისათვის, რომ მან ინგლისთან შეკრული ხელშეკრულობანი ნაჭერ-ნაჭერად მიჰხივ-მოჰხიოს თავისს ნებაზედაო“.

### პეტერბურგის ბირჟა, 27 დეკემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,50 | 7,50 | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | 207 | — „ | — „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | — „ | 100¼ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 98 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 98 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 98 | — „ |

### „ივერიის“ ფოსტა.

—

**ბიბლიოთეკის გამგეს ბ-ნ გ. გ—ძეს:** თქვენი საყურადღებო ამბავი, ჩვენდა სამწუხაროდ, არ დაიბეჭდება, რადგანაც წერილში არ არის ნაჩვენები რომლის რომელს დაუარსებია ბიბლიოთეკა.

**„მოკლე მოთხრობის“ ავტორს ი. ს—შვილს:** თქვენი მოთხრობა არ დაიბეჭდება.

**სურამის უფასო სამკითხველოს გამგეს ბ-ნ ი. მესხს:** არ გამოუწერიათ.


## განცხადებანი

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ზარათაშვილის

ლ ე ქ ს ე ბ ი  დ ა  წ ე რ ი ლ ე ბ ი.

გამოცემა მეხუთე.

ფასი 40 კ.

მ ა მ ი ს  ე რ თ გ უ ლ ი.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის

ქრ. შმიდტისა

ფასი 15 კ.

მ ტ რ ე დ ი.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის.

ქრ. შმიდტისა

ფასი 10 კ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 28 го Декабря 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.